კონკურსი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს თემატურ სასკოლო კალენდარზე დაყრდნობით (იხ. თემატური კალენდარი) საუკეთესო სასკოლო ღონისძიებების გამოსავლენად (განათლების ნებისმიერ საფეხურზე - დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

კონკურსის მიზანია:

სკოლების ხელშეწყობა სასკოლო ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად, განათლების ხარისხის ასამაღლებლად, მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად და მასწავლებლებისთვის კონკურენტუნარიანი შემოქმედებითი სივრცის შესაქმნელად.

მოკლე აღწერილობა:

სასკოლო ცხოვრების გასამრავალფეროვნებად გთავაზობთ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი დღეების ჩამონათვალს. ისინი დატანილია კალენდარზე, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს გარკვეული საკლასო და კლასგარეშე აქტივობები თემატურად ამ სპეციალურ დღეებს დაამთხვიოს.

იმის გამო, რომ დარჩენილი 2 თვის მანძილზე თემატური დღეების ჩატარების შესაძლებლობა შეზღუდულია, მასწავლებლებს საშუალება აქვთ კონკურსზე წარმოადგინონ ნებისმიერი თვის და თემატური დღის ამსახველი ღონისძიება. მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩატარების დღე ვერ დაემთხვევა თვესა და რიცხვს, ისინი უნდა იყოს განხორციელებული, ხოლო დამადასტურებელი მასალა (ღონისძიების სცენარი, ფოტო და ვიდეო მასალა) წარმოდგენილი.

როგორ შეიძლება აღნიშნული კალენდრის გამოყენება:

მომავალი სასწავლო წლისთვის გამარჯვებულ პროექტები/ღონისძიებები კალენდარზე აისახება და სკოლებს გადაეცემა, გამარჯვებულების მითითებით. ამის შემდეგ, სკოლა წლის დასაწყისში აირჩევს მათთვის საინტერესო და აქტუალურ თემატიკას მოსწავლეებთან შეთანხმებით და განახორციელებს ღონისძიებებს. ამავდროულად, მათ შეიძლება დაამატონ დღეები, რომლებიც მათი აზრით არანაკლებ საყურადღებოა მათი სკოლისთვის.

საუკეთესო ღონისძიებების გამოვლენის პროცედურა:

- ✓ პირველ ეტაპზე საუკეთესო ღონისძიებას/ღონისძიებებს გამოავლენს სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაგან შემდგარი ჯგუფი.
- ✓ საბოლოო გამარჯვებულებს მასწავლებლის სახლი გამოავლენს თვეების მიხედვით და მომზადდება მომდევნო წლის სასკოლო თემატური კალენდარი.

- ✓ სკოლაში შერჩეული ღონისძიებების სცენარები, ფოტო და ვიდეო მასალა უნდა გადმოიგზავნოს შემდეგ მისამართზე - tjokhadze@tpdc.ge, არა უგვიანეს 2012 წლის 25 მაისისა.

დანართი

თემატური სასკოლო კალენდარი

იანვარი	
14	ქართული თეატრის დღე
თებერვალი	
2	მსოფლიო ჭაობების დღე
19	ზღვის ძუძუმწოვრების დაცვის დღე
მარტი	
3	დედის დღე
14	მდინარეების დაცვის საერთაშორისო დღე
21	პოეზიის მსოფლიო დღე
22	წყლის მსოფლიო დღე
23	მეტეოროლოგიის მსოფლიო დღე
აპრილი	
1	ფრინველების საერთაშორისო დღე
7	ჯანმრთელობის მსოფლიო დღე
9	სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე
14	ქართული ენის (დედა ენის) დღე
22	დედამიწის დღე
23	წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო დღე
მაისი	
3	ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მსოფლიო დღე
9	ევროპის დღე/ფაშიზმზე გამარჯვების დღე
10-11	მსოფლიო გადამფრენ ფრინველების დღე
15	ოჯახის საერთაშორისო დღე/ ქართული კინოს დღე
22	ბიომრავალფეროვნების დღე

26	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
31	თამბაქოს საწინააღმდეგო დღე
ივნისი	
1	ბავშვთა დაცვის დღე
4	ბავშვების აგრესიისგან დაცვის საერთაშორისო დღე
5	გარემოსდაცვის მსოფლიო დღე
8	ოკეანეების დღე
17	გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე
20	ლტოლვილთა მსოფლიო დღე
26	ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე
სექტემბერი	
16	ოზონის დაცვის საერთაშორისო დღე
18	მსოფლიო წყლის მონიტორინგის დღე
21	მშვიდობის საერთაშორისო დღე
25	მსოფლიო ტურიზმის დღე
ოქტომბერი	
1	ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე
4	ცხოველების დაცვის დღე/კოსმოსის საერთაშორისო კვირეული (4-11)
5	მასწავლებლის დღე
6	გარემოსდაცვის დღე
8	ბუნებრივი კატასტროფების შეჩერების დღე
24	გაეროს დღე
27	ქართული საბავშვო წიგნის დღე
ნოემბერი	
16	ტოლერანტობის დღე
21	ტელევიზიის მსოფლიო დღე
დეკემბერი	
1	შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე
3	ინვალიდთა საერთაშორისო დღე
10	ადამიანის უფლებათა დღე
11	მთების საერთაშორისო დღე
28	კინოს საერთაშორისო დღე

წარმოდგენილი ღონისძიებები შეფასდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

	შეფასების კრიტერიუმები
1	სასწავლო აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებს განივითარონ თვითრეგულაციის უნარი (დაგეგმონ სამუშაო და მოახდინონ მისი შესრულების მონიტორინგი).
2	სასწავლო აქტივობა ხელს უწყობს სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბებას (მოსწავლეებს უხდებათ თანამშრომლობა როგორც თანაკლასელებთან, ისე სხვა მოზრდილ ადამიანებთან).
3	სასწავლო აქტივობა ხელს უწყობს ორი ან მეტი აკადემიური დისციპლინის ერთმანეთთან დაკავშირებას.
4	სასწავლო აქტივობა შეესაბამება შესაბამისი კლაისის საგნობრივ სტანდარტებს, მითითებულია ბმა საგნობრივ სტანდართტან ან რომელიმე შედეგთან
5	წარმოდგენილ მასალას თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები (ღონისძიების სცენარი, ფოტო და ვიდეო მასალა).